წერილის ნომერი: **18-01250433758**
თარიღი: **12/02/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 60-01250362993
წერილის თარიღი:	5 თებერვალი, 2025
განმცხადებელი:	ზაზა ბასილაძე
განაცხადის N	AR11064547
მისამართი	ქ. თბილისი, თენგიზ ჩანტლაძის ჩიხი, N 3
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.19.16.002.230
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	საწყობი; III კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს "ორხევი-96"
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	სამრეწველო ზონა 1 (ს-1)
არსებული შეზღუდვები	--------
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	საექსპერტო დასკვნა ტოპო.გეგმა მწვანე ნარგავების დატანით ნუმერაციის მიხედვით ფოტოსურათები
დასკვნა: დადებითი	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ცვლილების ეტაპზე სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ‚გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 109-ე მუხლის მე-2 ნაწილი; საქართველოს კანონის „ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ მე-6 და მე-7 მუხლები; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-

ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი; დადგენილების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ.ზ“ ქვეპუნქტი; დადგენილების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ი“, „კ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის დადგენილებით N11-58 დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში - ,,N11-58 დადგენილება“) დანართი N1, მე-3, 29-ე, 30-ე მუხლები; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის 2017 წლის 24 ივლისის N5-54 ბრძანება ხილ-კენკროვან სახეობათა ხე-მცენარეების ნუსხის დამტკიცების თაობაზე.

სამსახურის პოზიცია

ვინაიდან, განმცხადებელი არ ეხება მწვანე ნარგავებს, **სამსახური გასცემს დადებით რეკომენდაციას მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შესახებ, *ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების შენარჩუნების ვალდებულებით.***

პროექტის შეთანხმების ეტაპზე გასათვალისწინებელი წინაპირობები

დადგენილების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე, II, III და IV კლასის შენობა-ნაგებობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს უნდა წარედგინოს ტერიტორიაზე კ-3 კოეფიციენტის ათვისების გამწვანების პროექტი, რომელიც სხვა მონაცემებთან ერთად აუცილებლად უნდა მოიცავდეს ამ დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას, აგრეთვე „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ, ფოტომონტაჟის სახით ვიზუალურად გამოსახულ გამწვანების პროექტს **(გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, ასევე იმ შენობა/ნაგებობების არქიტექტურული პროექტებისა, რომელთა შეთანხმება მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის იმ ფუნქციურ ზონაში, რომელშიც კ-3 კოეფიციენტი არ არის განსაზღვრული ან ხდება შენობა/ნაგებობის რეკონსტრუქცია)**.

გარდა ზემო აღნიშნულისა, გამწვანების პროექტში განმცხადებელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი გარემოებები: შერეული, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების სავალდებულო წინაპირობაა; სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის შეთანხმების ეტაპზე, გამწვანების პროექტის ფარგლებში, ერთი სახეობის მწვანე ნარგავების ნაცვლად, ტერიტორია გამწვანდეს შერეული ტიპის, როგორც წიწვოვანი ისე ფოთლოვანი ნარგავებით.

სამსახური უპირატესობას ანიჭებს მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, დიდი ვარჯის მქონე ხეების დარგვას ბუჩქებთან და ყვავილებთან მიმართებით **(გარდა, ვერხვისა და ხილ-კენკროვანი მცენარეებისა).**

აქვე დავძენთ, რომ განმცხადებელმა გამწვანების პროექტში უნდა გაითვალისწინოს არსებული და გადასარგავი ნარგავები.

ტერიტორიაზე გასაშენებელ მწვანე ნარგავებს უნდა ჰქონდეს შემდეგი მახასიათებლები:

ხის ნერგი გამოზრდილი უნდა იყოს სანერგეში, სწორი ფორმის მქონე მთავარი ღეროთი. მარადმწვანე ხეები (როგორც წიწვოვანი ასევე, ფოთლოვანი) დაფესვიანებული შესაბამისი ზომის კონტეინერში არანაკლებ 65 ლიტრი (CLT).

წიწვოვანი ნარგავების დარგვის შემთხვევაში (გარდა იტალიური ფიჭვისა, მასზე ვრცელდება ფოთლოვანი ხეების პარამეტრები), ნერგის სიმაღლე არანაკლებ 3 მ.; მთავარი ღერო უნდა იყოს სწორი ფორმის; ღეროს გარშემოწერილობა CIRC არანაკლებ 0,16 მ., ფესვის ყელიდან 0,1 მ. სიმაღლეზე; ვარჯის დიამეტრი არანაკლებ 0,7 მ.; ვარჯი უნდა იყოს ყველა მხრიდან სიმეტრიულად განვითარებული; ქოთანში დაფესვიანებული; მისი განტოტვა უნდა იწყებოდეს ფესვის ყელიდან არაუმეტეს 0,25 მ. სიმაღლეზე.

ფოთლოვანი ნარგავების დარგვის შემთხვევაში, ნერგის სიმაღლე 3.5 მ.; მთავარი ღერო უნდა იყოს სწორი ფორმის; ღეროს გარშემოწერილობა CIRC არანაკლებ 0,18 მ. ფესვის

ყელიდან 1 მ. სიმაღლეზე; ვარჯის დიამეტრი არანაკლებ 0,7 მ.; მისი განტოტვა უნდა იწყებოდეს მცენარის ფესვის ყელიდან არანაკლებ 1,8 მ. სიმაღლეზე; ვარჯი უნდა იყოს ყველა მხრიდან სიმეტრიულად განვითარებული.

დასარგავი მცენარის სახეობა უნდა შეირჩეს პრიორიტეტული ხეების სიიდან.

აქვე, გაცნობებთ, იმ შემთხვევაში თუ საპროექტო ტერიტორიაზე ან მის მიმდებარედ ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობები, ასევე, თუ საპროექტო წინადადება ითვალისწინებს მათ გაყვანას, საჭიროა თითოეული საინჟინრო კომუნიკაცია დატანილი იქნას გამწვანების დეტალურ პროექტზე და გეგმარების პროცესში გათვალისწინებული იქნას დადგენილი შეზღუდვის არეალები, რომლის დაცვითაც მოეწყობა შემდგომში გასამწვანებელი სივრცეები და დაირგვება მწვანე ნარგავები.

პატივისცემით,

პაატა ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქალაქო სამსახურის უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა

თარიღი	***04.02.2025*** *995 967 200* *beq berdzenisvhili@yahoo.com*
დამკვეთი	ორხევი 96
მისამართი	თენგიზ ჩანტლაძის ქუჩა
მეთოდოლოგია	ტაქსაცია
ს/კ	01.19.16.002.230

ობიექტის და მეთოდოლოგიის შესახებ

ობიექტი მდებარეობს ორხევში მცენარეები შეფასდა ტაქსაციური მეთოდით და ვიზუალურად. მწვანე ნარგავების სახეობის იდენტიფიცირება მოხდა მსოფლიო და ადგილობრივი ფლორების მონაცემთა ბაზებზე დაყრდნობით.

#	სახეობა	ს/ფ	დიამეტრი (1,3 მ-ზე)	დიამეტრი (0,1 მ-ზე)	ასაკი*	მცენარის მდგომარეობა	შენიშვნა
1 (1)	Salix alba ტირიფი	ხე		25		ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას/გახარებას
2 (18)	Juglans regia კაკალი	ხე		31		ჯანსაღი	
3 (19)	Fraxinus excelsior იფანი	ხე		20		ჯანსაღი	
4(20)	Acer negundo ამერიკული ნეკერჩხალი	ხე		20		ხმობადი	
5 (27)	Populus alba ვერხვი	ხე		80		ჯანსაღი	

6 (28)	Populus alba ვერხვი	ხე		95		ჯანსაღი	
7 (42)	Gleditsia გლედჩია	ხე		38		ჯანსაღი	გადარგვა სპეც მეთოდო ლოგიით/ ექვემდება რება გახარებას
8 (43)	Populus alba ვერხვი	ხე		80		ჯანსაღი	გადარგვა სპეც მეთოდო ლოგიით/ ექვემდება რება გახარებას
9 (44)	Populus alba ვერხვი	ხე		52		ჯანსაღი	გადარგვა სპეც მეთოდო ლოგიით/ ექვემდება რება გახარებას
10 (45)	Gleditsia გლედჩია	ხე		20		ჯანსაღი	ექვემდება რება გადარგვა ს/გახარებას
11 (46)	Populus alba ვერხვი	ხე		15		ჯანსაღი	ექვემდება რება გადარგვა ს/გახარებ ას

12 (47)	Populus alba ვერხვი	ხე		15		ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას/გახარებას
13(48)	Acer negundo ამერიკული ნეკერჩხალი	ხე		15		ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას/გახარებას
14(49)	Populus alba ვერხვი	ხე		12		ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას/გახარებას
15(50)	Populus alba ვერხვი	ხე		12		ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას/გახარებას
16(51)	Gleditsia გლედჩია	ხე		15		ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას/გახარებას
17(52)	Populus alba ვერხვი	ხე		24		ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას/გახარებას
18(53)	Populus alba ვერხვი	ხე		10		ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას/გახარებას
19(54)	Populus alba ვერხვი	ხე		12		ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას/გახარებას
20(55)	Populus alba ვერხვი	ხე		20		ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას/გახარებას

21(57)	Populus alba ვერხვი	ხე		20		ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას/გახარებას
22(58)	Populus alba ვერხვი	ხე		25		ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას/გახარებას
23(59)	Morus alba თუთა	ხე		22		ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას/გახარებას
24(60)	Gleditsia გლედჩია	ხე		25		ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას/გახარებას
25(98)	Populus alba ვერხვი	ხე		81		ჯანსაღი	
26(99)	Populus alba ვერხვი	ხე		54		ჯანსაღი	
29(100)	Populus alba ვერხვი	ხე		41		ჯანსაღი	
30(101)	Populus alba ვერხვი	ხე		86		ჯანსაღი	
31(102)	Populus alba ვერხვი	ხე		61		ჯანსაღი	
32(103)	Cupressus sempervirens კვიპაროზი	ხე		54		ჯანსაღი	
33(104)	Populus alba ვერხვი	ხე		150		ჯანსაღი	
34(105)	Populus alba ვერხვი	ხე		85		ჯანსაღი	
35(106)	Populus alba ვერხვი	ხე		86		ჯანსაღი	

36 (107)	Populus alba ვერხვი	ხე		87		ჯანსაღი	

შემსრულებელი: ბექა ბერძენიშვილი
T: 995 967 200
beqa_berdzenisvhili@yahoo.com

საერთო დასკვნა

დამკვეთის მიერ მითითებულ საკადასტრო კოდის საზღვრებში, წინასწარ მომზადებულ ტოპოგრაფიულ რუკაზე დატანილი მწვანე ნარგავების სიმბოლოების მიხედვით, შეფასდა 38 ძირი მწვანე ნარგავი, დადგინდა მათი სახეობა, შეფასდა მათი მდგომარეობა.

25 სმ მდე ღეროს დიამეტრის მქონე მცენარეების გადარგვის მეთოდოლოგია

გადარგვა, შესაძლებელია ჩატარდეს მცენარის არასავეგეტაციო პერიოდში (მარტის მეორე ნახევარი - აპრილი) შემოდგომით (ოქტომბერი - ნოემბრის პირველი ნახევარი), ალტერნატიულ ადგილზე აგროტექნიკური ღონისძიებების სრული დაცვით (გადასარგავი მცენარის დიამეტიდან გამომდინარე შესაბამისი სიღრმის ორმოს მომზადება, გადასარგავი მცენარის ამოღება ბელტის დაუშლელად და გადარგვა წინასწარ მომზადებულ ორმოში, საჭიროების შემთხვევაში მცენარის გასხვლა - ფორმირება, სარწყავი ჯამის გაკეთება, დარგვის შემდეგ მცენარის ინტენსიური მორწყვა).

25 სმ ზე მეტი ღეროს დიამეტრი მქონე მერქნიანი მცენარის გადარგვისთვის საჭიროა შესაბამისი ტექნიკის გამოყენებით უფლება მისილი პირის მიერ შედგენილი რეგლამენტის საფუძველზე გადაირგოს მწვანე ნარგავი:

დამოუკიდებელი ექსპერტი: ბექა ბერძენიშვილი

საქართველო

ქალაქი თბილისი, თენგიზ ჩანტალაძის ჩიხი, №3 6000კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ს/კ №01.19.16.002.230 მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული

გეგმა



პირობითი აღნიშვნები

WGS 1984-ის კოორდინატთა სისტემის UTM პროექცია



შენიშვნა:1) ——— ნაკვეთის საზღვარი (თუ იგი არის ნახაზზე) მითითებულია დამკვეთის მიერ

2) მიწის სამუშაოების შესრულებისას შეატყობინეთ კომუნიკაციის წარმომადგენლებს

შპს „ბიემჯი გრუპ“
საქართველო, თბილისი, შარტავას ქუჩა 14
LTD `BMG GROUP~
14 Sartava St. Tbilisi, Georgia

ტექნიკური დირექტორი:		ბ. ბასილაძე
აზომა:		ნ.ოთხოზორია
დახაზა:		ნ.ოთხოზორია
დამკვეთი:		
მაშტაბი: 1:500		04.02.2025

საქართველო

ქალაქი თბილისი, თენგიზ ჩანტალაძის ჩიხი, №3 6000კვ.მ სასოფლო-სამეურნეო
დანიშნულების ს/კ №/01.19.16.002.230 მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული

გეგმა



შენიშვნა: არ იგეგმება დარჩენილი ხე-ნარგავების მოჭრა ან და გადარგვა

პირობითი აღნიშვნები

WGS 1984-ის კოორდინატთა სისტემის UTM პროექცია

ძხ	საცხ. შენობა	ბორდიული	ჭიშკარი
ძა	არასაცხ. შენობა	ხის ღობე	ბეტონი
	ფარდული	ღობე	წყალგაყვანილობა
	მშენებარე შენობა	ქვის კედელი	კავშირგაბმულობა
	სატრანსფორ. ჯიხური	კედელი	ელ. ქსელები
	ხეები	ფლატე	ბუნებრივი აირი
	გარე განათება	რკინიგზა	სადრენაჟო ინფრასტრუქტურა
		სამოვალუურეო ჭები	ინტერნეტ ქსელი
		ელ. გადამცემი ხახი	

შენიშვნა:1) ნაკვეთის საზღვარი (თუ იგი არის ნახაზზე) მითითებულია დამკვეთის მიერ

2) მიწის სამუშაოების შესრულებისას შეატყობინეთ კომუნიკაციის წარმომადგენლებს

შპს „ბიემჯი გრუპ“
საქართველო, თბილისი, შარტავას ქუჩა 14
მობ: 598 667020, 577 158039

LTD "BMG GROUP"
14 Shartava St. Tbilisi, Georgia

ტექნიკური დირექტორი:		ზ. გასილაძე
აზომა:		ნ.ოთხოზორია
დახაზა:		ნ.ოთხოზორია
დამკვეთი:		
მაშტაბი: 1:500		04.02.2025

დამატებით გაცნობებთ, რომ გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის ნებართვების საფუძველზე ტერიტორიაზე გადაირგო და მოიჭრა ხე-ნარგავები და ახლა წარმოგიდიდგენთ ტერიტორიაზე არსებულ დარჩენილ ხე-ნარგავებზე ხარისხობრივ შეფასებას და ძველ ად ახალ დანომრილ ტოპო გეგმებსაც

გაითვალისწინეთ , რომ არ იგეგმება დღეს არსებული ხე-ნარგავების მოჭრა ან / და გადარგვა



















ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01243413238**
თარიღი: **06/12/2024**

ადრესატი: ზაზა ბასილაძე
პირადი ნომერი: 41001006464
მისამართი: შარტავას 14

ადრესატი: ნურანა გუსეინოვა
პირადი ნომერი: 01717060763
მისამართი: შარტავას 14

ზოგადი ინფორმაცია	
განცხადების ნომერი:	N 22/01243403155-18
განცხადების თარიღი:	05 დეკემბერი, 2024
განმცხადებელი:	ზაზა ბასილაძე ნურანა გუსეინოვა
მისამართი	ქ. თბილისი, თენგიზ ჩანტლაძის ჩიხი, N3
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.19.16.002.230
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს „ორხევი-96“
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	საექსპერტო დასკვნა ფოტომასალა
დასკვნა:	
ინფორმაციული	

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს კანონის „ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ მე-6 მუხლის მე-3, მე-4 პუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის დადგენილებით N11-58 დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში - ,,N11-58 დადგენილება“) დანართი N1, პირველი მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-4 პუნქტები, N11-58 დადგენილების მე-2 მუხლის მე-7, მე-10, მე-11, 12-ე, მე-14, მე-15, 20-ე, 22-ე, 23-ე, 24-ე, 25-ე, 28-ე, 30-ე, 35-ე, 41-ე პუნქტები, N11-58 დადგენილების 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 პუნქტები, N11-58 დადგენილების 31, 34 მუხლები.

სამსახურის პოზიცია

არსებულ ტერიტორიაზე გადატეხილია 1 ძირი კვიპაროსი N1(D-44) რომელიც დასტურდება წარმოდგენილი ფოტომასალით. შესაბამისად, **სამსახური არ არის წინააღმდეგი მესაგუთრემ შეხედულებისამებრ, განკარგოს აღნიშნული მწვანე ნარგავი, მათ შორის, დაჭრას და გაიტანოს მოცემული ტერიტორიიდან (განახორციელოს ტრანსპორტირება).**

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

პაატა ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქალაქო სამსახურის უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01243461379**
თარიღი: **11/12/2024**

ადრესატი: ზაზა ბასილაძე
პირადი ნომერი: 41001006464
მისამართი: შარტავას14

ადრესატი: ნურანა გუსეინოვა
პირადი ნომერი: 01717060763
მისამართი: შარტავას 14

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 22/012434651-18
წერილის თარიღი:	11 დეკემბერი, 2024
განმცხადებელი:	ზაზა ბასილაძე ნურანა გუსეინოვა
მისამართი	ქ. თბილისი, თენგიზ ჩანტლაძის ჩიხი, N3
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.19.16.002.230
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს „ორხევი-96“
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	ფოტომასალა საექსპერტო დასკვნა (22/01243403155-18) მინდობილობა მწვანე ნარგავის შესყიდვის ხელშეკრულება (22/01243451401-18)
დასკვნა: დადებითი	

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს კანონის ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის დადგენილებით N11-58 დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში - ,,N11-58 დადგენილება“) დანართი N1, პირველი მუხლის მე-2 პუნტი, N11-58 დადგენილების მე-2 მუხლი, N11-58 დადგენილების 29-ე მუხლის მე-2, მე-5 პუნქტები, N11-58 დადგენილების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტი, მე-4, მე-7, მე-8 პუნქტები, N11-58 დადგენილების 31-ე, 32-ე, 34-ე, 38-ე მუხლები; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია, 2017 წლის 24 ივლისის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსის ბრძანება ,,ხილ-კენკროვან სახეობათა ხე-მცენარეების ნუსხის დამტკიცების თაობაზე“.

სამსახურის პოზიცია

მწვანე ნარგავების ჭრის ნებართვა გაიცემა, ტერიტორიაზე არსებულ, ზეხმელ, ხმობად, დაავადებულ, ფაუტ, გადაბერებულ, ავარიულ მწვანე ნარგავებზე. ვინაიდან ტერიტორიაზე არსებული 1 ძირი კვიპაროსი N1(D-44) ხმობადია, შესაბამისად სამსახური გასცემს მისი მოჭრის ნებართვას.

ინფორმაციული

ნარგავის ჭრის ნებართვის მიმღები ვალდებულია ჭრის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (ჭრის დაწყებამდე არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე), წინააღმდეგ შემთხვევაში, ნარგავის ჭრა ჩაითვლება უკანონოდ.

ასევე, გევალებათ, მოჭრილი ხის სანაცვლოდ, ნებართვის მიღებიდან მცენარეთა განვითარების პირველსავე არასავეგეტაციო პერიოდში, **იმავე საკადასტროზე** აგროტექნიკური ნორმების დაცვით და ჩვენი სამსახურის სპეციალისტის ზედამხედველობით საკომპენსაციო რგვა და დარგული მწვანე ნარგავის შემდგომი სამ წლიანი მოვლა-პატრონობა.

ნებართვის მიმღები ვალდებულია საკომპენსაციო რგვის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (დარგვის დაწყებამდე - არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე). წინააღმდეგ შემთხვევაში მწვანე ნარგავის საკომპენსაციო რგვის ვალდებულება ჩაითვლება შეუსრულებლად.

საკომპენსაციო რგვის განხორციელების შემდეგ, ყოველ კვარტალში ერთხელ უნდა წარმოადგინოთ დარგული მცენარის მდგომარეობის შესახებ ანგარიში და შესაბამისი ფოტომასალა.

აქვე გაცნობებთ, საკომპენსაციო რგვიდან 3 წლის განმავლობაში მწვანე ნარგავის გახმობის შემთხვევაში დაგეკისრებათ განმეორებითი საკომპენსაციო რგვის ვალდებულება.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

პაატა ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქალაქო სამსახურის უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

წერილის ნომერი: **18-01231243454**
თარიღი: **04/05/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 60-01231223846
წერილის თარიღი:	02 მაისი, 2023
განმცხადებელი:	ზაზა ბასილაძე
განაცხადის N	AR1959368
მისამართი	ქ.თბილისი, თენგიზ ჩანტლაძის ჩიხი #3
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.19.16.002.230
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	საწყობი; III კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს „ორხევი - 96“
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	სამრეწველო ზონა 1 (ს-1)
არსებული შეზღუდვები	--------
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	საექსპერტო დასკვნა ფოტოსურათები ტოპო.გეგმა მწვანე ნარგავების დატანით ნუმერაციის მიხედვით გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია გადამრგველი ფიზიკური/იურიდიული პირის თანხმობა მწვანე ნარგავების გადარგვის შესახებ
დასკვნა: დადებითი	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის ეტაპზე სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 109-ე მუხლის მე-2 ნაწილი; „ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი; დადგენილების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ.ზ“ ქვეპუნქტი; დადგენილების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ი“, „კ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ“, ,,ი“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის დადგენილებით N11-58 დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში - ,,N11-58 დადგენილება“) დანართი N1, მე-3, მე-4, მე-5, 29-ე მუხლის მე-5 პუნქტი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის 2017 წლის 24 ივლისის N5-54 ბრძანება ხილ-კენკროვან სახეობათა ხე-მცენარეების ნუსხის დამტკიცების თაობაზე.

სამსახურის პოზიცია

წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, ვინაიდან მცენარეების გადარგვას ენიჭება უპირატესობა მოჭრასთან მიმართებით, ხოლო ამგვარი გზით ნარჩუნდება ტერიტორიაზე არსებული ეკოლოგიური წონასწორობა, ასევე, მცენარეების გადარგვის შესაძლებლობა და გადარგვის შემდგომ გახარების ალბათობა დადასტურებულია ექსპერტის მიერ, წარმოდგენილი დიდი დიამეტრის მქონე გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად, **სამსახური თანახმაა**, მშენებლობის მიზნით, გასცეს საპროექტო კონტურში განთავსებული 16 ძირი ტირიფის (#2-11სმ; #3-17სმ; #4-27სმ; #5-16სმ; #6-13სმ; #7-9სმ; #8-25სმ; #56-12სმ; #63-12სმ; #75-18სმ; #76-20სმ; #77-22სმ; #78-21სმ; #79-21სმ; #80-19სმ; #81-18სმ), 4 ძირი კვიპაროსის (#11-44სმ; #14-43სმ; #15-20სმ; #17-3სმ), 1 ძირი ტუიას (#16-19სმ), 18 ძირი ვერხვის (#12-47სმ; #22-12სმ; #29-3სმ; #30-3სმ; #31-4სმ; #61-24სმ; #62-14სმ; #64-12სმ; #65-13სმ; #66-22სმ; #67-18სმ; #68-18სმ; #69-18სმ; #70-12სმ; #71-16სმ; #72-23სმ; #73-14სმ; #74-30სმ), 2 ძირი იფანის (#82-10სმ; #86-17სმ), 8 ძირი თუთის (#87-12სმ; #88-6სმ; #90-10სმ; #92-9სმ; #93-9სმ; #94-6სმ; #96-11სმ; #97-7სმ) და 13 ძირი ამიერკუნა ნეკერჩხალის (#21-4სმ; #23-29სმ; #24-6სმ; #25-8სმ; #26-8სმ; #33-10სმ; #34-14სმ; #35-11სმ; #36-15სმ; #37-9სმ; #39-14სმ; #40-10სმ; #41-8სმ) ***იმავე ტერიტორიაზე გადარგვის ნებართვა მას შემდეგ, რაც დაინტერესებული პირი მოიპოვებს მშენებლობის ნებართვას და ინფორმაციული წერილით სამსახურს მომართავს გადარგვის დაწყებამდე ორი სამუშაო დღით ადრე.***

დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე 15 ერთეულზე ნაკლები და 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ხილ-კენკროვანი მცენარის მოჭრა/გადარგვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ ნებართვას არ საჭიროებს. აქედან გამომდინარე, ***ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე 12სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე მოსაჭრელი/გადასარგავი ხილკენკროვანი მწვანე ნარგავების რაოდენობა არ აღემატება 6-ს; მათი (#9, #10, #13, #32, #38, #84, #89, #91, #95, #108, #109, #110, #111, #112) მოჭრა/გადარგვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ ნებართვას არ საჭიროებს.***

ინფორმაციული

სამსახურის პოზიცია, ნარგავ(ებ)ის გადარგვასთან დაკავშირებით ძალაში შევა მას შემდეგ, რაც დაინტერესებული პირი მოიპოვებს მშენებლობის ნებართვას და გადარგვის დაწყებამდე 2 სამუშაო დღით ადრე წერილობით აცნობებს დაგეგმილი სამუშაოების დაწყების თარიღისა და დროის ინტერვალის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით.

აღნიშნული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მწვანე ნარგავების გადარგვა ჩაითვლება უკანონოდ.

მწვანე ნარგავების გადარგვა უნდა განხორციელდეს ნებართვის მიღებიდან პირველსავე არასავეგეტაციო პერიოდში, აგროტექნიკური ღონისძიებების დაცვით და ჩვენი სამსახურის სპეციალისტის ზედამხედველობით.

მწვანე ნარგავების გადარგვის ნებართვა გაიცემა 1 წლის ვადით, ხოლო გადარგული მწვანე ნარგავების მოვლის სამუშაოების ხანგრძლივობა განისაზღვრება 3 წლის ვადით.

გადარგვის განხორციელების შემდეგ, სამ თვეში ერთხელ, წერილობით, უნდა წარმოადგინოთ გადარგული მცენარეების მდგომარეობის შესახებ ანგარიში და შესაბამისი ფოტომასალა.

აქვე გაცნობებთ, გადარგვიდან 3 წლის განმავლობაში მწვანე ნარგავების გახმობის შემთხვევაში დაგეკისრებათ განმეორებითი საკომპენსაციო რგვის ვალდებულება.

პროექტის შეთანხმების ეტაპზე გასათვალისწინებელი წინაპირობები

დადგენილების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე, II, III და IV კლასის შენობა-ნაგებობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს უნდა წარედგინოს ტერიტორიაზე კ-3 კოეფიციენტის ათვისების გამწვანების პროექტი, რომელიც სხვა მონაცემებთან ერთად აუცილებლად უნდა მოიცავდეს ამ დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას, აგრეთვე „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ, ფოტომონტაჟის სახით ვიზუალურად გამოსახულ გამწვანების პროექტს **(გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, ასევე იმ შენობა/ნაგებობების არქიტექტურული პროექტებისა, რომელთა შეთანხმება მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის იმ ფუნქციურ ზონაში, რომელშიც კ-3 კოეფიციენტი არ არის განსაზღვრული ან ხდება შენობა/ნაგებობის რეკონსტრუქცია)**.

გარდა ზემო აღნიშნულისა, გამწვანების პროექტში განმცხადებელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი გარემოებები: შერეული, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების სავალდებულო წინაპირობაა; სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის შეთანხმების ეტაპზე, გამწვანების პროექტის ფარგლებში, ერთი სახეობის მწვანე ნარგავების ნაცვლად, ტერიტორია გამწვანდეს შერეული ტიპის, როგორც წიწვოვანი ისე ფოთლოვანი ნარგავებით.

სამსახური უპირატესობას ანიჭებს მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, დიდი ვარჯის მქონე ხეების დარგვას ბუჩქებთან და ყვავილებთან მიმართებით **(გარდა, კვიპაროსის, ვერხვისა და ხილ-კენკროვანი მცენარეებისა).**

აქვე დავძენთ, რომ განმცხადებელმა გამწვანების პროექტში უნდა გაითვალისწინოს არსებული და გადასარგავი ნარგავები.

ტერიტორიაზე გასაშენებელ მწვანე ნარგავებს უნდა ჰქონდეს შემდეგი მახასიათებლები:

ხის ნერგი გამოზრდილი უნდა იყოს სანერგეში, სწორი ფორმის მქონე მთავარი ღეროთი. მარადმწვანე ხეები (როგორც წიწვოვანი ასევე, ფოთლოვანი) დაფესვიანებული შესაბამისი ზომის კონტეინერში არანაკლებ 65 ლიტრი (CLT).

წიწვოვანი ნარგავების დარგვის შემთხვევაში (გარდა იტალიური ფიჭვისა, მასზე ვრცელდება ფოთლოვანი ხეების პარამეტრები), მთავარი ღერო უნდა იყოს სწორი ფორმის; ღეროს გარშემოწერილობა CIRC არანაკლებ 0,16 მ., ფესვის ყელიდან 0,1 მ. სიმაღლეზე; ვარჯის დიამეტრი არანაკლებ 0,7 მ.; ვარჯი უნდა იყოს ყველა მხრიდან სიმეტრიულად განვითარებული; ქოთანში დაფესვიანებული; მისი განტოტვა უნდა იწყებოდეს ფესვის ყელიდან არაუმეტეს 0,25 მ. სიმაღლეზე.

ფოთლოვანი ნარგავების დარგვის შემთხვევაში, მთავარი ღერო უნდა იყოს სწორი ფორმის; ღეროს გარშემოწერილობა CIRC არანაკლებ 0,18 მ. ფესვის ყელიდან 1 მ. სიმაღლეზე; ვარჯის დიამეტრი არანაკლებ 0,7 მ.; მისი განტოტვა უნდა იწყებოდეს მცენარის ფესვის ყელიდან არანაკლებ 1,8 მ. სიმაღლეზე; ვარჯი უნდა იყოს ყველა მხრიდან სიმეტრიულად განვითარებული.

დასარგავი მცენარის სახეობა უნდა შეირჩეს პრიორიტეტული ხეების სიიდან.

გასათვალისწინებელი წინაპირობა

წინამდებარე დოკუმენტი ადმინისტრაციული დაპირებაა. მწვანე ნარგავების მოჭრის ანდა გადარგვის ნებართვის მისაღებად დაინტერესებულმა პირმა უნდა დააკმაყოფილოს ზემოაღნიშნული მოთხოვნები.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

პაატა ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქალაქო სამსახურის უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველო

ქალაქი თბილისი, თენგიზ ჩანტალაძის ჩიხი, №3 6000კვ.მ სასოფლო-სამეურნეო

დანიშნულების ს/კ №/01.19.16.002.230 მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული

გეგმა



პირობითი აღნიშვნები

WGS 1984-ის კოორდინატთა სისტემის UTM პროექცია

საცხ. შენობა	ბორდიული	ჰიშკარი
	ხის ღობე	ბეტონი
არასაცხ. შენობა	ღობე	
	ქვის კედელი	წყალგაყვანილობა
ფარდული	კედელი	კავშირგაბმულობა
მშენებარე შენობა	ფლატე	ელ. ქსელები
	რკინიგზა	ბუნებრივი აირი
სატრანსფორ. ჯიხური	სამეთვალყურეო ჭები	სადრენაჟო ინფრასტრუქტურა
ხეები	ელ. გადამცემი ხაზი	ინტერნეტ ქსელი
გარე განათება		

შენიშვნა:1) ნაკვეთის საზღვარი (თუ იგი არის ნახაზზე) მითითებულია დამკვეთის მიერ

2) მიწის სამუშაოების შესრულებისას შეატყობინეთ კომუნიკაციის წარმომადგენლებს

შპს „ბიემჯი გრუპ“

საქართველო, თბილისი, შარტავას ქუჩა 14

LTD "BMG GROUP"
14 Sartava St. Tbilisi, Georgia

ტექნიკური დირექტორი:		ზ. ბასილაძე
აზომა:		ნ.თოხოზორია
დახაზა:		ნ.თოხოზორია
დამკვეთი:		
მაშტაბი: 1:500		17.03.2023 წ.

წერილის ნომერი: **18-01241093713**
თარიღი: **18/04/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 60-01241034083
წერილის თარიღი:	12 აპრილი, 2024
განმცხადებელი:	ზაზა ბასილაძე
განაცხადის N	AR1999875
მისამართი	ქ. თბილისი, თენგიზ ჩანტლაძის ჩიხი, N 3
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.19.16.002.230
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	საწყობი; III კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	გამწვანების პროექტის შეთანხმება
მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები/ გრგ	დოკუმენტის №6536397 თარიღი: 30 ივნისი, 2023
არსებული შეზღუდვები	--------
ფართობ(ებ)ი:	6000 კვ. მ
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს "ორხევი-96"
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	სამრეწველო ზონა 1 (სზ-1)
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	გამწვანების პროექტი საექსპერტო დასკვნა ტოპო. გეგმა ფოტოსურათები
დასკვნა: დადებითი	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია გამწვანების პროექტთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და

სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 108-ე მუხლი; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი, მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,ო“ ქვეპუნქტი, დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, ,,ბ“ „გ“, „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია.

სამსახურის პოზიცია:

გაცნობებთ, რომ **საპროექტო ტერიტორიაზე არსებული (გადასარგავი) მწვანე ნარგავ(ებ)ი (17 ძირი ტირიფი, 7 ძირი კვიპაროსი, 41 ძირი ვერხვი, 1 ძირი ტუია, 1 ძირი კაკალი, 3 ძირი იფანი, 15 ძირი ამერიკული ნეკერჩხალი, 4 ძირი გლედიჩია, 9 ძირი თუთა), სრულად ითვისებს კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (600 კვ.მეტრი). ამდენად, სამსახური თანახმაა არსებული სახით დამტკიცდეს გამწვანების პროექტი.**

ინფორმაციის სახით მოგახსენებთ, რომ დაინტერესებულმა პირმა საინფორმაციო დაფის ესკიზზე **უნდა დააკორექტიროს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების რაოდენობა** *(არ ითვლება ხილ-კენკროვანი ნარგავები),* **რომელიც შეადგენს 98-ს.** ამასთანავე, **უნდა დაკორექტირდეს გადასარგავი მცენარეების რაოდენობა, რომელიც შეადგენს 62-ს.** ამასთან, განმცხადებელმა ესკიზზე სრულად უნდა დაიტანოს ტერიტორიაზე არსებული ნარგავების *(გადასარგავთან ერთად)* ჩამოწათვალი.

ინფორმაციისთვის

ნებართვის გაცემიდან 10 დღის ვადაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია მოსალოდნელი მშენებლობის საინფორმაციო დაფის გვერდით განათავსოს ზემოაღნიშნული გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტების და პარამეტრების ამსახველი ინფორმაცია.

გაცნობებთ, რომ საინფორმაციო დაფაზე გამწვანების პროექტი ვიზუალურად უნდა გამოისახოს მაკეტის ან/და ფოტომონტაჟის სახით. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტი უნდა იყოს A2 ზომის ფორმატის შესაბამისი. საინფორმაციო დაფა უნდა შენარჩუნდეს სამშენებლო სამუშაოების წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ.

დამატებით გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოყენებული იქნება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისათვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი (21-ე მუხლის მე-5[1] პუნქტი).

პატივისცემით,

პაატა ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქალაქო სამსახურის უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დენდროლოგიური პროექტის საინფორმაციო დაფა

მისამართი : ქალაქი თბილისი, თენგიზ ჩანტლაძის ჩიხი #3

საკადასტრო კოდი : 01.19.16.002.230

მესაკუთრე : შპს "ორხევი-96"

ფართობი : 6000 კვ.მ

ფუნქციური ზონა : სამრეწველო ზონა 1

კ3 კოეფიციენტი :

სამრეწველო ზონა 1– 0,1

გამწვანების ფართობი : 300 კვ.მ

ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავები : 99 ძირი მწვანე ნარგავი (რომელშიც არ ითვლება 13 ძირი ხილკენკროვანი
მათშორის გადასარგავი 58 ძირი მცენარე:
16 ძირი ტირიფი, 1ძირი ტუია, 18 ძირი ვერხვი,
2 ძირი იფანი, 8 ძირი თუთა, 13 ძირი ამერიკული ნეკერჩხალი.

ნებართვის გამცემი ორგანო: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

დენდროლოგიური პროექტის შეთანხმების თარიღი:

დენდროლოგიური პროექტის დასრულების თარიღი30.11.2025

მოვლა-პატრონობის ხანგრძლივობა:3 წელი
მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი პირი: შპს "ორხევი-96"













დასარგავი ხე-მცენარეების სქემატური გეგმა



შენიშვნა:
ყითელ ფერში ნაჩვენებია გადასარგავი ხე-მცენარეები
მწვანე ფერში ნაჩვენებია შესანარჩუნებელი ხე-მცენარეები

ფორმატი A-3 | თბილისი 2024 წ. | დაკვეთა №

ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავები :

99 ძირი მწვანე ნარგავი (რომელშიც არ ითვლება 13 ძირი ხილკენკროვანი)

მათშორის გადასარგავი 58 ძირი მცენარე:

16 ძირი ტირიფი, 1ძირი ტუია, 18 ძირი ვერხვი,

2 ძირი იფანი, 8 ძირი თუთა, 13 ძირი ამერიკული ნეკერჩხალი.

ახალი გამწვანებული სივრცის მოსაწყობად, საკომპენსაციო რგვის ფარგლებში დასარგავი მწვანე ნარგავების რაოდენობა :

ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავები სრულად ითვისებს კ3 კოეფიციენტის მინიმალურ საანგარიშო ფართობს

შ პ ს "გრიინ ბილდერს"

მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზირი №16

მობ: +995 568 37 84 48

ელ. ფოსტა: greenbuilders2019@gmail.com

საიტი: greenbuilders.ge

ობიექტის მისამართი

ქალაქი თბილისი, თენგიზ ჩანტლაძის ჩიხი #3

ს/კ: 01.19.16.002.230

დირექტორი

ცირა ჯაფოშვილი

გამწვანების პროექტი

შპს “Green BuilDers”

27.03.2024

ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. #16, საკონტაქტო ნომერი: 2-83-86-87 / 568 – 37-84-48; E-mail : GreenBuilDers2019@gmail.com
www.GreenBuilDers.ge

მისამართი : ქალაქი თბილისი, თენგიზ ჩანტლაძის ჩიხი #3

საკადასტრო კოდი : 01.19.16.002.230

მესაკუთრე : შპს "ორხევი-96"

ფართობი : 6000 კვ.მ

ფუნქციური ზონა : სამრეწველო ზონა 1

კ3 კოეფიციენტი :

სამრეწველო ზონა 1– 0,1

გამწვანების ფართობი : 300 კვ.მ

ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავები : 99 ძირი მწვანე ნარგავი (რომელშიც არ ითვლება 13 ძირი ხილკენკროვანი)

მათ შორის : ***16 ძირი ტირიფი*** *(#2-11სმ; #3-17სმ; #4-27სმ; #5- 16სმ; #6-13სმ; #7-9სმ; #8-25სმ; #56-12სმ; #63-12სმ; #75-18სმ; #76-20სმ; #77-22სმ; #78-21სმ; #79-21სმ; #80-19სმ; #81-18სმ), 4 ძირი კვიპაროსის (#11-44სმ; #14-43სმ; #15-20სმ; #17-3სმ),* ***1 ძირი ტუია*** *(#16-19სმ),* ***18 ძირი ვერხვი*** *(#12-47სმ; #22-12სმ; #29-3სმ; #30-3სმ; #31-4სმ; #61- 24სმ; #62-14სმ; #64-12სმ; #65-13სმ; #66-22სმ; #67-18სმ; #68-18სმ; #69-18სმ; #70-12სმ; #71- 16სმ; #72-23სმ; #73-14სმ; #74-30სმ),* ***2 ძირი იფანი*** *(#82-10სმ; #86-17სმ),* ***8 ძირი თუთა*** *(#87- 12სმ; #88-6სმ; #90-10სმ; #92-9სმ; #93-9სმ; #94-6სმ; #96-11სმ; #97-7სმ) და* ***13 ძირი ამერკული ნეკერჩხალი*** *(#21-4სმ; #23-29სმ; #24-6სმ; #25-8სმ; #26-8სმ; #33-10სმ; #34-14სმ; #35-11სმ; #36-15სმ; #37-9სმ; #39-14სმ; #40-10სმ; #41-8სმ)* **იმავე ტერიტორიაზე გადასარგავი**

ახალი გამწვანებული სივრცის მოსაწყობად, საკომპენსაციო რგვის ფარგლებში დასარგავი მწვანე ნარგავების რაოდენობა :

ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავები სრულად ითვისებს კ3 კოეფიციენტის მინიმალურ საანგარიშო ფართობს

#	სამუშაოს დასახელება	განზომილება	რაოდენობა	შენიშვა
1	გასამწვანებელი ტერიტორიის ფართობი	კვ. მეტრი	300	
2	გასამწვანები ტერიტორიის გასუფთავება და დამუშავება	კვ. მეტრი	300	
3	ადგილების მომზადება მცენარეების დასარგავად	ცალი	-	ორგანული/არაორგანული სასუქის შეტანა
4	მცენარეების დარგვა	ცალი	-	
5	გაზონის მოწყობა (დათესავა, რულონის დაგება)	კვ. მეტრი	-	
6	გაზონის მოვლა	კვ. მეტრი	-	
7	ახალ დარგული მცენარეების მოვლა	ცალი	-	
8	ახალ დარგული მცენარეების მორწყვა	ცალი	-	ძირზე 30-50 ლიტრი წყალი

მწვანე ნარგავების გაშენების აგროტექნიკა

▪ ნიადაგის მომზადება

ნიადაგის მომზადება ხელს უწყობს მისი ფიზიკური და წყლის რეჟიმის გაუმჯობესებას, ტერიტორიაზე გავრცელებული სარეველა მცენარეებისგან, ქვებისგან, სამშენებლო ნარჩენებისგან და სხვ ფართობის განთავისუფლებას.ლაბორატორიული ანალიზით ნიადაგის მჟავიანობამ pH 7.2-7.8 შეადგინა. ნიადაგის მომზადება უნდა განხორციელდეს მექანიზებული წესით (სასურველია უახლესი ტექნიკის გამოყენებით) - მოხვნა, გადახვნა, გადაფარცხვა, დაპლანტაჟება. პირველ რიგში უნდა გაიწმინდოს ნაგვისგან, ქვებისგან, ამოიძირკოს ძირკვები და შემდეგ მოხდეს ორგანული/არაორგანული სასუქის შეტანის გზით ნიადაგის ნაყოფიერების განხორციელება, დარგული მწვანე ნარგავების კარგი ზრდა - განვითარების უზრუნველსაყოფად.

▪ ხე - მცენარის დარგვა

- დარგვა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ხელით, ასევე მექანიზებული წესით - სპეციალური სარგავი მანქანით.
- ხელით დარგვა შესაძლებელია განხორციელდეს ორი მეთოდით: ნიადაგის გუნდით (კომით) და შიშველფესვიანი ნერგებით. ჩვენს შემთხვევაში ხორციელდება კომით.
- დარგვა, როგორც ავღნიშნეთ, ხორციელდება სტანდარტული სარგავი მასალით, რომელთა გადარჩევაც ხდება სანერგეში. ნერგები უნდა პასუხობდნენ სტანდარტულ მოთხოვნებს: უნდა იყონ ჯანსაღი, კარგად განვითარებული ვარჯითა და ფესვთა სისტემით, მექნაიკური დაზიანების გარეშე. სარგავი მასალის ტრანსპორტირების დროს ასევე უნდა იყოს დაცული შესაბამისი წესები.
- გადასარგავ ადგილზე არანაკლებ 5 დღით ადრე ამოღებული უნდა იქნას ორმო;

- სარგავი ორმოს დიამეტრი სასურველია გაითხაროს 0,5 – 0,9 მ. – ით მეტი, ხოლო სიღრმე 0,2–0,25 მ.–ით მეტი ვიდრე გადასარგავი ხის კომი;
- ამოღებულ ორმოს ჩაუტარდეს დეზინფექცია ნიადაგის მავნებლების და ნიადაგის პათოგენური სოკოების საწინააღმდეგოდ თანამედროვე პესტიციდების და ფუნგიციდების გამოყენებით. რათა თავიდან იქნას აცილებული რიგი დაზიანებები და დაავადებები, რომელსაც მცენარე იღებს მხოლოდ ნიადაგიდან;
- კომსა და ორმოს კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით;
- სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10 – 15 სმ. სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 0,2 – 0,25 მ. სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა;
- ხე სარგავ ორმოში უნდა მოთავსდეს ისე, რომ ხის კომი 5 – 10 სმ–ით ამოწეული იყოს ნიადაგის ზედაპირიდან;
- კომი უნდა განთავისუფლდეს შესაფუთი მასალისაგან;
- ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი;
- ხის მოთავსება ორმოში უნდა განხორციელდეს ხის პირვანდელი სივრცითი ორიენტაციის გათვალისწინებით;
- ხის დარგვის შემდგომ აუცილებელია ხის ღერის ფიქსირება არანაკლებ 3 მხრიდან;
- სარგავ ორმოში ცარიელი სივრცე ივსება ნიადაგის ნაზავით და ფრთხილად იტკეპნება, რათა არ დაიშალოს კომი და არ მოხდეს ფესვთა სისტემის დაზიანება;
- ნერგის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი;
- ხის დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს ხის მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე;

▪ ხე–მცენარის დარგვის შემდგომი მოვლა–პატრონობა:

- ხის მოვლა უნდა განხორციელდეს დარგვიდან (გადარგვიდან) 3 წლის განმავლობაში;
- გახმობის შემთხვევაში მცენარის ჩანაცვლება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის
- შესაბამისად;
- მაისიდან სექტემბრის ჩათვლით თვეში ერთხელ უნდა განხორციელდეს სარწყავი ჯამების გამარგვლა– გაფხვიერება– განახლება;

- გადარგვიდან მეორე და მესამე წელს, ვეგეტაციის დაწყებამდე, ადრე გაზაფხულზე უნდა განხორციელდეს
- სერთიფიცირებული მინერალური სასუქების (NPK) შეტანა და მორწყვა;
- მორწყვა უნდა განხორციელდეს მაისიდან სექტემბრის ჩათვლით კვირაში ერთხელ;
- დამატებითი მორწყვა უნდა განხორციელდეს წლის გვალვიან პერიოდში, საჭიროების მიხედვით;
- შესაძლებელია სპეციალური სარწყავი (ავტომატური) სისტემის მოწყობა მცენარის მუდმივი მორწყვის
- უზრუნველსაყოფად;
- ხის დარგვისთანავე მცენარეებზე უნდა განხორციელდეს მცენარეთა მავნებელ – დაავადებების წინააღმდეგ
- გასატარებელი ღონისძიებები;
- პერიოდულად ჩატარდეს ვარჯის სხვლა–ფორმირების სამუშაოები

დირექტორი: *ც.ჯაფოშვილი*